


2015 წლის პირველი დეკადის სტატისტიკა



მიმდინარე წლის იანვარიდან ივნისის თვის ჩათვლით ენერგომბუდსმენის აპარატში 1294 განცხადება დარეგისტრირდა. 1620 მოქალაქემ ისარგებლა სამართლებრივი კონსულტაციებით, ხოლო ელექტრონულ ფოსტასა და ოფიციალურ „ფეის ბუკ“ გვერდზე 152 წერილი დაფიქსირდა. საჩივრები დარგობრივად შემდეგნაირად გადანაწილდა

* ელ.ენერგია – 685

* წყალმომარაგება – 354

* ბუნებრივი გაზი – 256

კომპანიების მიხედვით, საჩივრების სტატისტიკა ასე გამოიყურება:

სს „თელასი“ – 594

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ - 81

სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ - 9

შპს „ყაზტრანსგაზი - თბილისი“ - 233

შპს „სოკარ ჯორჯია - გაზი“ – 22

შპს „ენერგოკავშირი“ - 1

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ - 269

შპს „მცხეთის წყალი“ - 65

შპს „რუსთავის წყალი“ – 4

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგება“ – 16

ელექტროენერგეტიკის მიმართულების კვლავ მწვავედ დგას ხანდაზმული დავალიანების და არასათანადო მომსახურების საკითხები, ბუნებრივი გაზის სფეროში კი ახალი მომხმარებლის ბუნებრივი გაზის ქსელზე დაერთების თემა არის აქტუალური. წყალმომარაგების სექტორში, ასევე

პრობლემურია წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების თემა, ასევე მომსახურების ხშირი შეწყვეტა, რაც კომპანიის მხრიდან სხვადასხვა მიზეზებით აიხსნება.

თითოეული საქმის არსებითი შესწავლის შედეგად, საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა უფლებების დარღვევის ფაქტები დააფიქსირა, რის საფუძველზეც რეკომენდაციით მიმართა შესაბამის კომპანიებს. მიმდინარე წლის პირველ დეკადაში 353 რეკომენდაცია გაიგზავნა სხვადასხვა კომპანიებში. პირველი ორი კვარტლის მონაცემების მიხედვით, რეკომენდაციების დიდი ნაწილი დაკმაყოფილდა, რის გამოც ჯამში ჩამოწერილმა თანხამ 278 314.98 ლარი შეადგინა.

გარდა ამისა, ენერგომბუდსმენმა მთელი რიგი საკითხები წარადგინა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სხდომაზე და პირველი დეკადის მონაცემებით, სემეკის გადაწყვეტილებებით 267 377.96 ლარი უსაფუძვლოდ დარიცხული თანხა ჩამოეწერა მოქალაქეებს.

ამ პერიოდისთვის, რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩამოწერილი თანხის ჯამი შეადგენს 545 693 ლარს.